გულთამხილავის მსჯავრი

ღმერთის წინაშე ორი ადამიანი წასდგა.

უცვლელი სახე უფალმა მათ მიაპყრო და გულთამხილავი თვალებით დააცქერდა.

-- იცოდით ნება ჩემი?

-- ვიცოდი, უფალო! წამიკითხავს დაბადება, შემისწავლია წმიდა სახარება, სამოციქულო, წმიდა მამათა ცხოვრება; ზეპირათ ვიცი საგალობელნი და ლოცვები, --- მოახსენა ერთმა.

მეორე სდუმდა.

-- შენ? -- დაეკითხა მდუმარეს ღმერთი.

-- არ ვიცი, არ წამიკითხავს.

-- შეასრულეთ ნება ჩემი? -- იკითხა კიდევ უფალმა.

-- გზითა მართლითა ვიდოდი; საპყართა განვიკითხავდი; მიყვარდა ძმა ჩემი, ვითარცა თავი ჩემი; შენ მხოლოდ ერთსა თაყვანსა გცემდი, -- მიუგო პირველმა.

მეორე სდუმდა.

-- შენ? -- დაეკითხა მდუმარეს ღმერთი.

-- არ მახსოვს, უფალო, და მგონია, არც ყოფილა ასეთი რამ.

-- შეასრულე ათი მცნება? --- განაგრძო უფალმა დაკითხვა, თუმცა ყოველივე იცოდა უზენაესმა.

-- დიახ, უფალო! არც ერთი არ დამირღვევია! -- მიუგო პირველმა.

მეორე ისევ სდუმდა.

-- შენ?

-- რა?

-- მოგიკლავს ადამიანი?

-- არა! ორფეხი ცხოველი, ადამიაბს რომ უძახიან, ის კი.

-- გითქვამს ტყუილი?

-- ტყუილი არა! უხეშ სინამდვილეს რომ აფერადებდა და ლამაზ ოცნებათ ხდიდა, ისეთი კი... ბევრი.

-- გიმრუშია?

- არა! სატრფოსთან ერთარსებათ კი გარდავქმნილვარ, და ართმანეთის ცეცხლის ალში კი დავმწვარვართ!

-- გიგმია ღმერთი?

- არა! ის ძალა კი, ადამიანს რომ უკუღმართ გზაზე დააყენებს, სიცოცხლეს გაუმწარებს, ის კი ხშირათ.

- თაყვანს სცემდი, ჩემს გარდა, სხვა ღმერთს?

-- ერთ ღმერთს თაყვანსა ვცემდი -- ღმერთს სიყვარულისას, იმედისას, მშვენიერებისას.

ყველა დადუმდა.

-- რა გსურთ ახლა? -- დაარღვია ღმერთმა სიჩუმე.

- განსვენება ადგილსა ყვავილოვანსა! -- საჩქაროთ უპასუხა პირველმა.

მეორე სდუმდა.

- შენ?

- ნუ მათქმევინებ -- გარისხდები, უფალო!

-- მოგენიჭოს! -- ბრძანა უფალმა და გულთამხილავის უცვ-
ლელმა, მკაცრმა სახემ ნისლი გადიყარა.

მდუმარე ადამიანის წინ გაჩნდა მომღიმარე, ვარდებით შემკული, ლამაზი ქალწული. მას ნეკტარით სავსე პატარა თასი ეჭირა ხელში. შორიდან კი ისმოდა ქნარის ხმა.

-- მე რაღა, უფალო? -- შეეკითხა პირველი ადამიანი ღმერთს.

-- შენ ჯერ არ გიცხოვრია: შენ ჩემს არტახანში იყავ გაკრუ-
ლი. პირადათ შენ რისი მომქმედი ხარ, არ ვიცი. იქნებ ყოვლად ცუ-
დი და სასიზღარი იყო და როგორ დაგაჯილდოვო?!" წადი ისევ ქვეყნად.

1913 წ.